



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 982
29/11/2017

982-09-4-201711291327



ბრძანება

**ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში გესტ ჰაუსის მშენებლობის ნებართვის
გაცემის შესახებ**

უნდა აღინიშნოს რომ 2017 წლის 15 ნოემბერს შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს №10446/09 განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში გესტ ჰაუსის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.08.34.123) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 39-ე მუხლის (მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც შესრულებულია ამავე დადგენილების მე-X-ე, მე- XI-ე, მე-XII-ე და მე-XV-ე თავების მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაიცეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში გესტ ჰაუსის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.08.34.123) მშენებლობის ნებართვა.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61- ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-9 თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 39-ე მუხლის, მე-XI-ე თავის და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2017 წლის 17 ნოემბრის N4269-09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) გაიცეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში გესტ ჰაუსის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.08.34.123) მშენებლობის ნებართვა;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;

- 3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 6) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სსსამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა